



09/12/2025



MES 5 25 0001755843

## გადაწყვეტილება

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს

კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>6</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის მიხედვით თუ საგანმანათლებლო პროგრამა პირველ (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) ან მე - 4 (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სტანდარტის „მეტწილად შესაბამისობა“ განპირობებულია ამავე სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით ამ დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (არაუმეტეს 2 წლის ვადაში), რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

## **2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 01 ივლისის №794977 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ინფორმატიკის" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

## **პირველი სტანდარტი**

ა) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული და ინდივიდუალურად გაცემული რეკომენდაციები არ გაითვალისწინა:

- რეკომენდებულია, თითოეული პროგრამის მიზანი პირდაპირ იყოს დაკავშირებული დარგობრივ ან საზოგადოებრივ საჭიროებებთან (მაგალითად, ციფრული მმართველობა, ინოვაცია, კიბერ გამძლეობა).
- რეკომენდებულია, გადამუშავდეს მიზნები. ამჟამად მიზნებში ჩამოთვლილი უნარები, როგორცაა "ანალიზებს პრობლემას" და "ახორციელებს კვლევას ზედამხედველობის ქვეშ" წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგებს. რეკომენდებულია, გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის ფოკუსი.

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას და შეინარჩუნოს მკაფიო დოკუმენტაცია, რომელიც შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს აკავშირებს პროგრამისა და მიზნების გადახედვებთან/ცვლილებებთან, რათა უზრუნველყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული უწყვეტი გაუმჯობესება და შესაბამისობა ბაზრის საჭიროებებთან.

გ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

სასურველი, გაძლიერდეს შესაბამისობა დასაქმების მოთხოვნებთან, შრომის ბაზრის კომპეტენციებთან, დამსაქმებლების გამოკითხვებთან და კურსდამთავრებულების მონიტორინგის შედეგებთან პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფით.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 1.2 კომპონენტში გაცემული შემდეგი კლასტერული რეკომენდაციები არ გაითვალისწინა:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელება, განსაკუთრებით საბაკალავრო დონეზე.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლის და პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შესაბამისობის ცხრილი, შესაბამისობის მტკიცებულების უზრუნველსაყოფად.

ე) აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

რეკომენდებულია შეწყდეს არჩევითი კურსებისა და საწყისი ეტაპის საგნების საბოლოო შედეგების მონაცემთა წყაროდ გამოყენება (მათი გამოყენება შესაძლებელია განმავითარებელი შეფასებისათვის).

ვ) აკრედიტაციის საბჭომ 1.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა:

რეკომენდებულია დოკუმენტურად აღიწეროს, თუ როგორ ხდება შედეგების შეფასების ანალიზი და მათი გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**აღნიშნული კომპონენტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭოს ამ შეფასებით პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.**

ზ) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია შეცვალა ჩამოყალიბა შემდეგი სახით:

ნაცვლად - "რეკომენდებულია, შინაარსის დუბლირების თავიდან აცილების მიზნით და სიღრმის გასაძლიერებლად გაერთიანდეს პროგრამირების, ალგორითმების, მონაცემთა ბაზების და ვებ - ტექნოლოგიების კურსები."

ჩამოყალიბებული - "რეკომენდებულია მოხდეს გადამფარველი შინაარსის ოპტიმიზაცია პროგრამირებაში, ალგორითმებში მონაცემთა ბაზებსა და ვებტექნოლოგიებში კურსების კონსოლიდაციის გზით."

თ) საბჭომ არ გაითვალისწინა შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია.

რეკომენდებულია, სასწავლო გეგმაში სწავლების ადრეულ ეტაპზე ჩაშენდეს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის კომპონენტები, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის და მონაცემთა მეცნიერების პროგრამებში. - მოიხსნას რეკომენდაცია.

**არ შეცვლილა აღნიშნული კომპონენტის შეფასება და იგი განსაზღვრულია, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".**

## მე-2 სტანდარტი

ი) აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

სასურველია, რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცესის სამართლიანობის და სტუდენტების მიერ პროგრამის წარმატებით დასრულების უნარის უზრუნველსაყოფად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს მათემატიკის მინიმალური ცოდნის მოთხოვნა.

კ) აკრედიტაციის საბჭომ 4.3 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში და გამოაქვეყნონ სტატიები.
- სასურველია მიზნობრივი ტრენინგების განხორციელებით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მოწვეული პერსონალის პედაგოგიური და კვლევითი კომპეტენციების განვითარება.

საბჭოს შეფასების ცვლილებით, 2.1 და 4.3 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა ამან არ გამოწვია მე-2 და მე-4 სტანდარტების შეფასების ცვლილება.

## 3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

### გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 09 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ინფორმატიკის" საბაკალავრო, "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ინფორმაციული ტექნოლოგიების მმართველობა და სტრატეგიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 09 დეკემბრის სხდომის №1753660 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

### რეკომენდაციები:

- 1.1. რეკომენდებულია, გადამუშავდეს მიზნები, რადგან ისინი ჩამოყალიბებულია როგორც "ასწავლოს სტუდენტს." და "განუვითაროს უნარი.", რაც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებას. გარდა ამისა, მკაფიოდ არ არის აღნიშნული საზოგადოებრივი წვლილი.
- 1.2. რეკომენდებულია, გამეორების თავიდან აცილების მიზნით გაერთიანდეს პირველი და მეორე პროგრამის სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს გაზომვადი ზმნებით (მაგალითად, "აანალიზებს და იყენებს პრინციპებს..."). მკაფიოდ წარმოაჩინეთ კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან: "აჩვენებს ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების და მონაცემთა უსაფრთხოების უნარებს."
- 1.4. რეკომენდებულია BCS 05, BCS 10, BCS 15, BCS 18 კურსების გადახედვა:

- რეკომენდებულია BCS 05-სა და BCS 10-ში გადაფარული Python-ისა და OOP-ის საფუძვლები ინტეგრირდეს პროგრამირების საფუძვლების ერთ თანმიმდევრულ სასწავლო კურსში, რომელიც კონცენტრირდება პროგრამირების ძირითად პრინციპებზე, სტრუქტურულ პროგრამირებაზე, მარტივ OOP-ზე და პრობლემების გადაჭრის საბაზისო უნარებზე, ნაცვლად შინაარსის ფრაგმენტაციისა ორ მოდულში.

- 1.4. რეკომენდებულია BCS 10 განისაზღვროს როგორც „ალგორითმების შესავალი და

გამოთვლითი აზროვნება,“ რითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სინტაქსის გადატვირთული გამეორებები. აქცენტი უნდა გაკეთდეს ალგორითმების დიზაინის პრინციპებზე, სირთულის ანალიზსა და პრობლემის დაშლაზე Python-ის მარტივი მაგალითების გამოყენებით. უნდა

შემცირდეს ენობრივ დეტალებზე ფოკუსი, რათა თავიდან იყოს აცილებული BCS 05-თან დუბლირება.

- 1.4. რეკომენდებულია Python განისაზღვროს როგორც პროგრამირების კონსტრუქტებისა და

ალგორითმული კონცეფციების შესწავლის შესავალი ენა. C++ ეტაპობრივად უნდა შემოვიდეს როგორც გარდამავალი ენა BCS 15-ში (OOP), მკაფიო აქცენტით ძლიერ აკრეფვაზე, მეხსიერების მართვასა და ეფექტიანობაზე. აუცილებელია სტუდენტებმა გაიგონ, რატომ არის ორივე ენა ჩართული პროგრამაში (Python სწრაფი პროტოტიპირებისათვის, C++ წარმადობისა და სისტემურ დონეზე პროგრამირებისათვის).

- 1.4. რეკომენდებულია მონაცემთა სტრუქტურების ყველა ძირითადი საკითხის

(დაკავშირებული სიები, ხეები, ჰეშ-ცხრილები, დასტები, რიგები, გრაფები) კონსოლიდირება BCS 18 კურსში - „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები C++-ში“. ეს უზრუნველყოფს სიღრმესა და სიზუსტეს, ამავდროულად კი თავიდან აიცილებს ფრაგმენტულად მოცვას BCS 10-ში, BCS 15-ში და BCS 18-ში. BCS 18 ღიად უნდა დაეყრდნოს ალგორითმულ საფუძვლებს (BCS 10) და პრაქტიკული კოდირების გამოცდილებას (BCS 15).

- 1.4. რეკომენდებულია მიმდევრობა ლოგიკურად განვითარდეს შემდეგნაირად: პროგრამირების

საფუძვლები ალგორითმული აზროვნება ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები.

- 1.4. რეკომენდებულია BCS 08 გახდეს კონცეპტუალური, ხოლო BCS 12 - პროექტსა და

უსაფრთხოებაზე ორიენტირებული. ასევე უნდა განისაზღვროს და აღსრულდეს წინაპირობების გზა (BCS 08 BCS 12 BCS 20).

- 1.4. რეკომენდებულია AI/ML კურსების რეორგანიზება: გადამფარავი ერთეულები უნდა გაერთიანდეს და ჩამოყალიბდეს პროგრესია; ნეირონული ქსელების სწავლებამ უნდა გადაიწიოს პროგრამის უფრო გვიან ეტაპებზე, სტატისტიკური და მათემატიკური მმართველობით მზაობის შემდეგ.

- 2.1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცესის სამართლიანობის და სტუდენტების მიერ პროგრამის წარმატებით დასრულების უნარის უზრუნველსაყოფად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს მათემატიკის მინიმალური ცოდნის მოთხოვნა.

- 2.2. რეკომენდებულია, "აკადემიური წერის" სასწავლო კურსს დაემატოს კვლევითი კომპონენტები, იმისათვის, რომ სტუდენტებმა განივითარონ კვლევითი უნარები.

**კლასტერული რეკომენდაციები:**

- 1.1. რეკომენდებულია, გადამუშავდეს პროგრამის მიზნები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ნაცვლად მეტი აქცენტი გაკეთდეს სტრატეგიულ მიზნებზე.
- 1.1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს მკაფიო დოკუმენტაცია, რომელიც შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებს აკავშირებს პროგრამისა და მიზნების გადახედვებთან/ცვლილებებთან, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული უწყვეტი გაუმჯობესება და შესაბამისობას ბაზრის საჭიროებებთან."
- 1.2. რეკომენდებულია, ბუნდოვანი ზმნები როგორცაა "აცნობიერებს", "იცნობს" და "ფლობს ცოდნას" ჩანაცვლდეს ბლუმის ტაქსონომიის დაკვირვებადი, მოქმედებაზე ორიენტირებული ზმნებით (მაგალითად, შეიმუშავებს, იყენებს, ახორციელებს, აფასებს).
- 1.2. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების დიფერენცირების მატრიცა, იმისათვის, რომ შემცირდეს გამეორებები და მკაფიოდ გაიმიჯნოს მაღალი დონის მიზნები და გაზომვადი სწავლის შედეგები.
- 1.3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც მოიცავს:

- კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- თითოეული სწავლის შედეგისთვის კონკრეტული შეფასების დავალებების გამოვლენას (მაგალითად, პროექტი, დავალება, პრეზენტაცია);
- რუბრიკების გამოყენებას შესრულების კრიტერიუმებით და განსაზღვრული მიღწევის ზღვრებით.
- სწავლის შედეგების შეფასებისთვის მაღალი დონის სავალდებულო კურსების გამოყენება, რათა შეფასებების საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ კომპეტენციების ასახვა, რომლებიც კურსდამთავრებულებს უნდა გააჩნდეთ.

- 1.3. რეკომენდებულია, შეწყდეს საწყისი ეტაპის საგნების საბოლოო შედეგების მონაცემთა წყაროდ გამოყენება (მათი გამოყენება შესაძლებელია განმავითარებელი შეფასებისათვის).
- 1.4. რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში თანმიმდევრული პროგრესის უზრუნველსაყოფად განისაზღვროს და განხორციელდეს წინაპირობების სტრუქტურა (მაგალითად, ალბათობა / სტატისტიკა მონაცემთა მეცნიერებამდე, პროგრამირება პროგრამული არქიტექტურამდე).
- 1.4. რეკომენდებულია მოხდეს გადამფარველი შინაარსის ოპტიმიზაცია პროგრამირებაში, ალგორითმებში მონაცემთა ბაზებსა და ვებტექნოლოგიებში კურსების კონსოლიდაციის გზით.
- 1.4. რეკომენდებულია, გადაიხედოს ფრაგმენტირებული კურსის შინაარსი (მაგალითად, მონაცემთა სტრუქტურები, AI/ML, ვებ-ტექნოლოგიები) და ჩამოყალიბდეს ინტეგრირებული, პროგრესული თანმიმდევრობით, რაც წინა ცოდნაზე იქნება დაფუძნებული.
- 1.4. რეკომენდებულია, სწავლების ადრეულ ეტაპზე დაინერგოს კვლევის მოსამზადებელი კურსები (მაგალითად, კვლევის მეთოდები, ეთიკა) და განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად.
- 1.5. რეკომენდებულია გაძლიერდეს სწავლის შედეგების გაზომვადობა.
- 1.5. რეკომენდებულია, ყველა სილაბუსში შემუშავებულ იქნას კურსის სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების მატრიცა, რომელიც აჩვენებს მკაფიო შესაბამისობას და განვითარებას.
- 1.5. რეკომენდებულია გამარტივდეს და შესაბამისობაში მოვიდეს შეფასების პრაქტიკა.
- 1.5. რეკომენდებულია, თითოეულ სილაბუსში შემუშავებულ იქნას კურსის სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკების ცხრილები, იმისათვის რომ პირდაპირ გაიზომოს თითოეული სწავლის შედეგი.

- 1.5. რეკომენდებულია, დაკონკრეტებულ იქნას პროექტების, გამოცდების და ლაბორატორიული დავალებების დეტალური კრიტერიუმები გამჭვირვალობის და თანმიმდევრულობის გასაძლიერებლად.
- 1.5. რეკომენდებულია სამუშაო დატვირთვისა და საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების ხელახლა დაბალანსება.
- 1.5. რეკომენდებულია, უნარებზე დაფუძნებულ შედეგებთან უკეთესი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გაიზარდოს პრაქტიკული / ლაბორატორიული საათები გამოყენებით კურსებში.
- 1.5. რეკომენდებულია, გადაიხედოს კრედიტების განაწილება, იმისათვის, რომ სამუშაო დატვირთვა ასახავდეს კურსის სირთულეს (განსაკუთრებით ლაბორატორიულ და გაძლიერებულ ტექნიკურ კურსებში).
- 1.5. რეკომენდებულია სასწავლო რესურსების განახლება და მათში ანოტაციების დამატება.
- 1.5. რეკომენდებულია, ჩანაცვლდეს მოძველებული, ზოგადი ან შეუსაბამო ლიტერატურა განახლებული გამოცემებით, უახლესი კვლევებით (ბოლო 3 - 5 წელი) და შესაბამისი დარგობრივი სტანდარტებით (COBIT, ITIL, ISO, AI/CS სტანდარტები).
- 1.5. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებისაგან გამიჯვნა.
- 1.5. რეკომენდებულია, დაიხვეწოს პროგრამის დოკუმენტაცია, იმისათვის, რომ მაღალი დონის მიზნები (ფართო მიზნები) გაიმიჯნოს გაზომვადი შედეგებისგან (კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები)."
- 2.2. რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში / მემორანდუმებში და / ან მათ დანართებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა."
- 2.4. რეკომენდებულია, გამოვლენილი მცირე ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გადაიხედოს სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყველა კრიტერიუმი სრულად აისახოს შეფასების დეტალებში, შეფასების პროცესის ობიექტურობის და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შეფასების მეთოდების სწორ აღქმას და შეფასების სანდოობას.
- 3.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და ოფიციალურად განსაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელების და თანახელმძღვანელების შერჩევის / შეცვლის დეტალური პროცედურები, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამის დოკუმენტში.
- 3.2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და ოფიციალურად დაამტკიცოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და სტუდენტების თანაფარდობის განსაზღვრის დეტალური მეთოდოლოგია, რომელიც მკაფიოდ და სრულად იქნება წარმოდგენილი შესაბამის დოკუმენტში."
- 4.1. რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამებში გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა."
- 4.4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს ყველა საგანმანათლებლო მასალის დროული განთავსება და ხელმისაწვდომობა.
- 4.4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დროულად უზრუნველყოს ინგლისურენოვანი LMS - ის ხელმისაწვდომობა.
- 4.4 რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის აუცილებელი რესურსებისთ ადჭურვილი სამუშაო სივრცეების რაოდენობა.
- 4.4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კომპიუტერების განახლების გეგმა და ბიუჯეტში განსაზღვროს საჭირო თანხები."

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 09 დეკემბრიდან.

6. საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესით დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ 2 წლის ვადაში - 2027 წლის 09 დეკემბრამდე.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს  
მდივანი  
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,  
აფთარაშვილი ქეთევან

